საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030188885875022

№ 01-52/ო **03 / თებერვალი / 2022 წ.**

„ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 25 მარტის N01-123/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 25 მარტის N01-123/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული შემდეგი დანართები ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

ა) ,,ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შემთხვევასთან კონტაქტირებულთა მართვის დროს გასატარებელი დროებითი მეთოდური რეკომენდაციები“ **(დანართი N1);**

ბ) ,,ინფექციის პრევენციისა და კონტროლის დროებითი რეკომენდაცია (გაიდლაინი) სასწრაფო სამედიცინო დახმარების მიმწოდებლებისათვის“ **(დანართი N2)**;

გ) ,,ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შემთხვევების განსაზღვრება (დროებითი, რომელიც ექვემდებარება განახლებას ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების შესაბამისად)“ **(დანართი N4);**

დ) ,,ახალი კორონავირუსის (SARS-CoV-2) ქვეყანაში შემოტანისა და გავრცელების რისკების შემცირების მიზნით, კონტაქტირებულ პირთა დროებითი იზოლაციის პერიოდში სამედიცინო ზედამხედველობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განხორციელების პროტოკოლი (დროებითი)“ **(დანართი N5);**

ე) ,,ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციისადმი (COVID-19) ექსპოზირებული არასამედიცინო ობიექტების დასუფთავების დროებითი რეკომენდაციები“ **(დანართი N6);**

ვ) ,,ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები საერთაშორისო მოგზაურთათვის/ტურისტული კომპანიებისათვის“ **(დანართი N8);**

ზ) ,,ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები იზოლაციაში მყოფი პირებისათვის“ **(დანართი N9);**

თ) ,,ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები თვითიზოლაციაში მყოფი პირებისთვის“ **(დანართი N10);**

ი) ,,ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები მედია-ორგანიზაციებისა და ჟურნალისტებისათვის“ **(დანართი N12);**

კ) „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციისადმი (COVID-19) სავარაუდოდ ექსპოზირებული შშმ პირთა განთავსების ობიექტებში დასუფთავება- დეზინფექციისა და იზოლირებულ პირთა

ყოველდღიური საყოფაცხოვრებო მომსახურების (დასუფთავება, საკვების/პროდუქტის დარიგება-მიწოდება) განმახორციელებელი პერსონალისთვის“ **(დანართი N13);**

ლ) ,,ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) დადასტურებული ან საეჭვო დიალიზზე მყოფი შემთხვევებისთვის“ **(დანართი N14)**;

მ) ,,რეკომენდაციები სტომატოლოგიური დაწესებულებებისთვის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების შემთხვევაში“ **(დანართი N15)**;

ნ) ,,ინფექციის კონტროლის ღონისძიებები ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციით (COVID-19) დაინფიცირებული პირის გარდაცვალების დროს“ **(დანართი N16)**;

ო) ,,გეგმური იმუნიზაციის რეკომენდაციები ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების დროს“ **(დანართი N17)**;

პ) „რეკომენდაციები დერმატო-კოსმეტოლოგიური სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებებისთვის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების დროს” **(დანართი N19);**

ჟ) „რეკომენდაციები სახელმწიფო ზრუნვის 24 საათიან დაწესებულებებში ახალი კორონავირუსით (SARSCOV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით“ **(დანართი N20);**

რ) „რეკომენდაციები ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებისთვის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების დროს“ **(დანართი N21);**

ს) „რეკომენდაციები ხანდაზმულთათვის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების დროს“ **(დანართი N22);**

ტ) „სამედიცინო დაწესებულებაში ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19)-ის შესაძლო და დადასტურებული შემთხვევების მართვისათვის საჭირო ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (იდს) გამოყენებისა და სხვა უსაფრთხოების ღონისძიებების რეკომენდაციები“ **(დანართი N23);**

უ) „რეკომენდაციები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების დროს“ **(დანართი N24);**

ფ) „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელებასთან დაკავშირებული მზაობა და საპასუხო ქმედებები ხანგრძლივი ზრუნვის საცხოვრისებში (დროებითი რეკომენდაცია)“ **(დანართი N25).**

2. ამოღებულ იქნეს ბრძანების პირველი პუნქტის „გ“, „ზ“ „ლ“, „ს“ და „ჩ“ ქვეპუნქტები და ამ ქვეპუნქტებით დამკიცებული შემდეგი დანართები:

ა) **N3 დანართი** (მგზავრების თვითგამოკითხვის კითხვარი);

ბ) **N7 დანართი** (ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების ქვეყნებიდან საერთაშორისო მოგზაურთათვის განკუთვნილი რეკომენდაციები);

გ) **N11 დანართი** (ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები თვითმფრინავის ბორტის ეკიპაჟის წევრებისათვის);

დ) **N18 დანართი** (პერინატალური სერვისები ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების დროს);

ე) **N26 დანართი** (რეკომენდაციები შემოსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალზე (უბანი, ქალაქი, სოფელი, რაიონი და ა.შ.) ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შემაკავებელი ღონისძიებების განხორციელებისთვის).

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

ზურაბ აზარაშვილი